



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოცემის 1937 წლიდან
დადოქტრინის მუნიციპალიტეტის გაზეთი

№6 (9.815)


24 თებერვალი - 3 მარტი 2018 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა



გილოცავთ!



მმ.5

დიდი ისტორია- კატარა ფინჯანში

ირაკლი შიოლაშვილი:
„მთელი ჩვენი ისტორია საქართველოს ქალების, დედების სათნოების, გმირობის, თავდადებისა და გამძლეობის მაგალითია და ასეა დღესაც. ქართულ კულტურაში ქალი არასდროს აღიქმებოდა სუსტ, დაუცველ არსებად, პირიქით, ის ყოველთვის იყო ჩვენი ეროვნულობისა და თვითმყოფადობის გარანტი.“

ნურბარ პაპიაშვილი:
„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე ისედაც თქვენ გეკუთვნით, ვფიქრობ, რომ შესაძლოა იმ დიდი პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვას ზოგჯერ ვერ ვახერხებთ, 3 და 8 მარტის დღესასწაულები კი თითოეულ ჩვენგანს საშუალებას აძლევს, კიდევ ერთხელ გაგრძნობინოთ ის სიბოლო და სიყვარული, რომელსაც თქვენ ყოველთვის იმსახურებთ.“

ნიკოლოზ ჯანაშვილი:
„ქალბატონებო, გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს. ჩვენდა საამაყოდ, საქართველოში ქალის როლი ყოველთვის გამორჩეული იყო, ქართველ ადამიანს კი ქალისადმი პატივისცემა ოდითგან გააჩნდა. როგორც ჩვენი სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში, ასევე ქართულ ენაში, ფოლკლორსა თუ ლიტერატურაში ამის არაერთი მაგალითი არსებობს.“

**მოხილური
ტელეფონები
- საფრთხე
ბავშვებისთვის**



მმ.4

**ამ სააგაყო
დადოქტრინის წყაროელს
უნდა იცნობდეთ!**



მმ.8

**2 მარტი
18:00 სთ**



**დადოქტრინის წყაროს
მარია და საარსებლო
კინემატი**

**ნაბრ გელაშვილის
სოლო-კონცერტი**

დადოქტრინის წყაროს
კულტურის სახლი
ნაგავანი თაბანა გომარეთალი
პროდუქსიონი ბაქა ხალათაშვილი

**უსახლკარო -
დახმარების
ბარეში**




დახმარების
შეწყვეტა
არ ნიშნავს
ადგილობრივი
სოციალური
პაკეტებით
სარგებლობაზე
უარის თქმას

მმ.2-3

**აფხაზეთში
დემოკრატიული
კატასტროფის
საფრთხეზე
ალაპარაკდნენ**

მმ.2

**ავღანეთში
ქართულმა
სამხედროებმა
ეკლესია ააშენეს**



მმ.7

დანის საგარეო საქმეთა მინისტრი - შთაბეჭდავია საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები და წარმატება, რომელსაც მიაღწიეთ

შთაბეჭდავია თქვენს მიერ განხორციელებული რეფორმები და წარმატება, რომელსაც მიაღწიეთ, - ამის შესახებ დანის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდერს სამუელსენმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვიციანი-შვილთან შეხვედრისას განაცხადა.

ანდერს სამუელსენის შეფასებით, საქართველო დანის სამეფოს ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორია, რომელსაც დანია ყოველთვის მხარს დაუჭერს.

როგორც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან ჟურნალისტებს აცნობეს, მხარეებმა ისაუბრეს დანის სამეზობლო პროგრამის (DANEP) ახალი, 2017-2021 წლების სტრატეგიის შესახებ, რომლის ფარგლებშიც საქართველოს 27 მილიონი ევრო გამოეყოფა. საქართველოს მხარდაჭერის პროგრამაში, ძირითადად, მოიცავს ორ თემატურ მიმართულებას - ადამიანის უფლებები და დემოკრატიული განვითარება; მდგრადი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და გაძლიერება.

პრემიერ-მინისტრმა დანის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრს საქართველოს მხარდაჭერი პროგრამისა და ქვეყნის ევროატლანტიკური იდის წესრიგის განხორციელების ხელშეწყობისთვის მადლობა გადაუხადა.

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, შეხვედრისას, ყურადღება გამახვილდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებაზე, საქართველოში არსებულ საინვესტიციო გარემოზე და საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის მონიშნულ პოზიციებზე.

მათივე ცნობით, მხარეებმა ასევე განიხილეს რეგიონში არსებული ვითარება და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი მდგომარეობა. დანის საგარეო საქმეთა მინისტრმა დადებითად შეაფასა საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა, კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიმართულებით და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მტკიცე მხარდაჭერა დაადასტურა.

პრემიერმა დანის მხარეს მადლობა გადაუხადა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობაში ჩართულობისთვის, რომელიც ერთადერთ საერთაშორისო მექანიზმს წარმოადგენს და ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილზე მშვიდობის შენარჩუნებაში.

აფხაზეთში დემოგრაფიული კატასტროფის საფრთხეზე ალაპარაკდნენ

„ოკუპირებულ აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“, ბოლო წლებში, შობადობა მცირდება - ბოლო 5 წლის განმავლობაში ცხინვალის რეგიონში 20%-ით შემცირებულია დაბადებულთა რიცხვი, ხოლო აფხაზეთში შობადობის ტენდენცია ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო მცირდება, მათ შორის: 2017 წელს დაიბადა 25%-ით ნაკლები ბავშვი, ვიდრე 2016 წელს და ამის გამო სოხუმში ექიმებმა დემოგრაფიული კატასტროფის საფრთხეებზეც დაიწყეს საუბარი. დემოგრაფია და შობადობა ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად სახელდება როგორც აფხაზეთში, ისე ოსებში და ისინი დე ფაქტო ხელისუფლებებს მოუწოდებენ, რაღაც კანონებითა და შეღავათებით გამოასწორონ ეს

სურათი, რათა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე არ დადგეს მათი, ისედაც „მცირერიცხოვანი ერი“, - წერს გაზეთი „რეზონანსი“ სტატიის სათაურით, აფხაზეთში დემოგრაფიული კატასტროფის საფრთხეზე ალაპარაკდნენ.

„ექსპერტთა კლუბის“ წევრ ირაკლი ციციტიშვილის თქმით, აფხაზეთში დემოგრაფიაზე ნუხილი არსებობს. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ალწერიტ აფხაზეთის რაოდენობა გაზრდილია, ამ სტატისტიკას თავად აფხაზეთიც კი დასცინიან. შობადობაზე სოხუმში პერიოდულად საუბრობდნენ, მაგალითად, როდესაც აბორტების აკრძალვაზე იყო საუბარი ან როდესაც შობადობის სტატისტიკას გამოაქვეყნებდნენ. რა თქმა უნდა, მათ ანუხებთ, რომ მოსახლეობა იკლებს. ძირითადად იმაზე საუბრობენ, რომ მოსახლეობის კლების მიზეზი გზებზე ძალიან ცუდი მდგომარეობაა და ავტოკატასტროფებში ახალგაზრდები იხრციებიან. ასევე ხაზს უსვამენ, რომ ძალიან დიდია ნარკომანთა რაოდენობა და ძალიან მაღალია შიდსით დაავადებულთა რიცხვი და ეს ყველაფერი მათ დემოგრაფიას ურტყამს პირველ რიგში“.



საქართველოში მცხოვრებმა 12 ათასზე მეტმა ადამიანმა წერა-კითხვა არ იცის



საქართველოში მცხოვრები 12 ათას 576 მოქალაქე წერა-კითხვის არმცოდნეა. მათ შორის 9 ათას 517 სოფლად ცხოვრობს. 564 მათგანი აჭარაში. დაახლოებით 900 მოქალაქე, 10-დან 20 წლამდე ასაკისაა. მათი თითქმის მესამედი ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობაა - ეს ოფიციალური სტატისტიკაა და ძირითადად 10 წლის და უფროსი ასაკის მოქალაქეებს ეხება. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მაჩვენებლით, წერა-კითხვა იცის, მაგრამ დანყებითი განათლება 104 ათასზე მეტ მოქალაქეს არ აქვს. მოსახლეობის 8%-ს მხოლოდ საბაზო განათლება აქვს მიღებული.

საქსტატში ამბობენ, რომ მონაცემები საგანგაშო არაა. პირიქით 2002 წლის საყოველთაო აღწერის შემდეგ პროცესი გაუმჯობესებულია. წერა-კითხვის უნარებს კი უფრო მეტი მოქალაქე ფლობს.

გაცილებით მაღალ რიცხვებს ასახელებენ მესამე სექტორში. ამბობენ, რომ საქსტატის მონაცემებში მოუსაფარი ბავშვები ვერ მოხვდნენ. თიკო აბაშიძის განცხადებით, წერა-კითხვის არცოდნის პრობლემა იმ მოზარდებშიც არის, რომლებიც ქუჩაში მუშაობის პარალელურად სკოლაში მისვლას ახერხებენ, სწავლას კი ვერა.

როგორ უნდა დაუბრუნდნენ სკოლებს ე.წ. „უჩინარი ბავშვები“? იუნისეფში მთავარ გამოწვევად მსოფლიოში იდენტიფიცირებას და მათ საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვას ასახელებენ. ორგანიზაციამ საქართველოს განათლების სამინისტროსთან ერთად სტატისტიკური მონაცემები შეაგროვა მათზე, ვინც სკოლის მიღმა დარჩა ან სკოლის დატოვების მაღალი რისკის ქვეშაა.

მოსწავლადი ჯგუფების სკოლაში დაბრუნებას სამინისტრო განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის პროგრამით ცდილობს. უწყებაში ამბობენ, რომ უკვე იდენტიფიცირებული 100 მოზარდიდან, რომლებსაც დღის ცენტრში სპეციალური პროგრამით ამზადებდნენ ნაწილს მოსწავლის სტატუსი ალუდგა.

ექსპერტების ნაწილის აზრით, განათლების პოლიტიკა გადასახდია. მათი თქმით სისტემა იმ ბავშვების საჭიროებებს არ ითვალისწინებს, რომლებიც სწავლას მატერიალური პრობლემების გამო ვერ ახერხებენ. სწავლის მიტოვების ერთ-ერთი მიზეზი ნაადრევი ქორწინებაცაა.

საბაზო განათლების მიღება ყველა მოქალაქისთვის სავალდებულოა. სახელმწიფოს ეს ვალდებულება კონსტიტუციით აქვს აღებული.

უსახლკარო-სოციალური დახმარების გარეშე

უკვე მერამდენე წელია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში მცხოვრები 87 წლის ნაზო ჭამიაშვილი სოციალური მომსახურების სააგენტოსგან დახმარების აღდგენას უშედეგოდ ელის. რამდენიმე წლის წინ ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლი დაენვა, ღია ცის ქვეშ რომ არ დარჩენილიყო, თავს დროებით შვილიშვილების კუთვნილ სახლს აფარებს. ამბობს, რომ სოციალურმა სააგენტომ დახმარება საცხოვრებელი ფართის გამო მოუხსნა. სააგენტოში ადასტურებენ, რომ დახმარების შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზი საცხოვრებელი ფართობი გახდა, თუმცა, ეს ფართი მისი არ არის...

ბში ვიხდი და რაღა მრჩება, რომ საარსებოდ ვიკმარო. აგენტებმა მიიხრეს, ფართობი დიდი გაქვსო, მაგრამ აუხსენი და საბუთებში ჩანს კიდევ, რომ ეს სახლი მე არ მეკუთვნის. გაირკვა, რომ მაინც შემიწყვიტეს დახმარება. მას შემდეგ ბევრჯერ მინდოდა სოციალურ სააგენტოში მისვლა, მაგრამ წნევა მანუხებს, გულის პრობლემებიც მაქვს და ამხელა მანძილზე სიარული აღარ შემიძლია... ეზოშიც რომ გამოვიდე, ორი ჯოხი უნდა მეჭიროს და მაინც არ შემიძლია, ვიღლები. ფეხზე დგომა საერთოდ არ შემიძლია, ორი წუთიც ვერ ვდგები. ჩემი შემოსავალი მხოლოდ პენსიაა, ამიტომ კვებასაც ძლივს ვახერხებ. ხშირად მეზობლები მიგზავნიან საქმელს, რამდენიმე ძირი კარტოფილი მეთესა და ასე წვალებით გამაქვს ცხოვრება. ხორცი რომ მოგენატრება ადამიანს, ამას თუ ცხოვრება ჰქვია,“ - ამბობს ნაზო ბებო.

ჩემსავით ესეც სულ ნამალ-ექიმშია და ყურადღებას ვაქცევ. ადრე იღებდა დახმარებას და რა ვიცი, რა ნახეს ისეთი, არაფერი არ გააჩნია და ახლა დახმარებასაც აღარ აძლევენ. სახლი ნამდვილად დაენვა და შვილიშვილის ბინაშია შესული, ეს შენობა არ არის მისი საკუთრება, მაგრამ დახმარება მაინც მოუხსნა. აბა, როგორ გაიტანს თავს, პენსიით ახერხებს არსებობას. პენსია კი იმდენად მცირეა და ლარი ისე გაუფასურდა, არაფერში გვეყოფნის. ნამლებიც ძალიან ძვირია და როგორ გინდა განვდინო და იარსებო. ხშირად ცუდად ხდება, გულით ავადმყოფი ქალია და წამდაუნუმ სასწრაფო დახმარების ეკიპაჟს ვიძახებთ. თუ რამ

გააჩნია, ისიც ნამალ-ექიმში მიდის. ის დახმარება მაინც დაუბრუნონ, რომ შვება იგრძნოს, არადა, ამდენი ფულია საჭირო,“ - აღნიშნავენ ჭამიაშვილის მეზობლები.

სოციალური მომსახურების სააგენტოს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ამბობენ, რომ ნაზო ჭამიაშვილისთვის მინიჭებული ქულები ოდნავ აღემატება დასაშვებ ზღვარს, თუმცა, ამის მიუხედავად მართლაც მოხუცს ახლაც შეუძლია სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილი საყოველთაო ჯანდაცვის პაკეტით ისარგებლოს. სააგენტოს პრესამსახურის უფროსის ტატა ბამყრელიძის ინფორმაციით, ჭამიაშვილს სააგენტოსთვის 2015 წლის შემდეგ აღარ მიუმართავს და მას განაცხადის ხელახლა შევსება წელიწადში ერთხელ შეუძლია, რის შემდეგაც მისი მდგომარეობის შესწავლა ხელახლა მოხდება.

მარტოხელა მოხუცი დიაბეტი და გულის იშემიური დაავადება აწუხებს. მიუხედავად იმისა, რომ დიაბეტის პროგრამა სახელმწიფოსგან ფინანსდება, ის არც ამ შეღავათით სარგებლობს. მისი ერთადერთი შემოსავალი პენსიაა, რომელიც მედიკამენტების შესაძენად არ ჰყოფნის.

„სხვის კედლებში ვარ, ასე როდემდე ვიქნები, მასაც ცოლის მოყვანა უნდა და სად წავა. დახმარებას რამდენიმე წელი ვიღებდი, ახლა კი მომიხსნეს. არადა, 88 ლარს ყოველთვიურად დიაბეტის წამლე-

გამოკვებას მეზობლების დახმარებით ახერხებს, მათივე თანადგომის იმედი აქვს ავად გახდომის შემთხვევაშიც.

„ხშირად გამოვიდვიართ ხოლმე, რომ მარტოხელა ქალია,



„ეს ქალბატონი ბოლოს 2015 წელს, ქულების დათვლის ახალი მეთოდოლოგიის ამოქმედების შემდეგ გადამოწმდა. ესეც გეგმა-გრაფიკით მოუწია და აგენტებმა ამიტომ მიაკითხეს, თორემ მას ჩვენთვის განცხადებით არ მოუმართავს. მაშინ ჭამიაშვილმა მაღალი სარეიტინგო ქულა მიიღო, თუმცა, აქვე ავლნიშავ იმასაც, რომ ეს ქულა არ არის ძალიან მაღალი, უბრალოდ, ზღვარს ოდნავ სცილდება.“ (გაგრძელება გვ.3)



გილოცავთ!



ქალთა დღესასწაულები- დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეები გაზაფხულის მოსვლას გვაუწყებენ. ამიტომაცაა, ქალი არის მშვენიერების, სიცოცხლის გაგრძელების სიმბოლო. გილოცავთ ამ ლამაზ თარიღებს ყველა დედას, ყველა ქალბატონს... მთელი ჩვენი ისტორია საქართველოს ქალების, დედების სათნოების, გმირობის, თავდადებისა და გამძლეობის მაგალითია და ასეა დღესაც. ქართულ

კულტურაში ქალი არასდროს აღიქმებოდა სუსტ, დაუცველ არსებად, პირიქით, ის ყოველთვის იყო ჩვენი ეროვნულობისა და თვითმყოფადობის გარანტი.

გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, გახარებას და, რაც ყველაზე მთავარია, სამშობლოსთვის განათლებული და საამაყო შვილების გაზრდას. ყველაზე დიდი ჯილდო მშობლისათვის შვილის წარმატებაა. გისურვებთ, რომ მუდამ ბედნიერები და გახარებულნი ყოფილიყავით თქვენი შვილების წინსვლით, შვილებს კი ვუსურვებ, მუდამ ჰქონდეთ უნარი, სიბო და პატივისცემა არ მოაკლონ დედებს.

წელიწადის ყველა დროსა და თვეს თავისი ხიბლი აქვს, მაგრამ განსაკუთრებულ ემოციებს მაინც გაზაფხულის დადგომა იწვევს, ის ხომ სილამაზესთან, სითბოსა და ბედნიერებასთან ასოცირდება. გაზაფხულს სხვა ელფერსა და სიხალისეს სძენს მარტის ორი ულამაზესი დღეც, რომლებიც მანდილოსნებს ეძღვნება.

ქალბატონებო, გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს. ჩვენდა საამაყოდ, საქართველოში ქალის როლი ყოველთვის გამორჩეული იყო, ქართველ ადამიანს კი ქალისადმი პატივისცემა ოდითგან გააჩნდა. როგორც ჩვენი სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში, ასევე ქართულ ენაში, ფოლკლორსა თუ ლიტერატურაში ამის არაერთი მაგალითი არსებობს. ვფიქრობ, რომ ისტორიულად ჩამოყალიბებული ამ ტრადიციიდან ჩვენს ერს მნიშვნელოვნად არასოდეს გადაუხვევია და თანამედროვე ქალი უნინდებურად არის აქტიური სამოქალაქო პირი და ოჯახის ბურჯი.

ჩვენი მშვენიერი, ამაგიანო, შვილებს ღირსეულად აღმზრდელი და საამაყო ქალბატონებო, გილოცავთ დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და ბედნიერებას. ასევე გისურვებთ, რომ იყოთ წარმატებულნი თქვენს საქმიანობაში, ბედნიერი დედები, მეუღლეები, ბებიები, შვილები, დები... იყავით ყოველთვის ლამაზები და ხალისიანები, უფლის წყალობა არ მოკლებოდეთ.

P.S. აქვე გეტყვით, რომ 2 მარტს, 18 საათზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მანდილოსნებს ნატო გელაშვილის სოლო-კონცერტზე იწვევს. ესაა ჩვენი საჩუქარი, რომელსაც მათ 3 და 8 მარტის დღესასწაულებთან დაკავშირებით ვუძღვნი.



**პატივისცემით,
ირაკლი შიოლაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი**

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი



3 მარტი
ქალთა უფლებების
დაცვის დღე
ვისწავლეთ ისტორია...



დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს გილოცავთ, ძვირფასო მანდილოსნებო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე ისედაც თქვენ გეკუთვნით, ვფიქრობ, რომ შესაძლოა იმ დიდი პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატვას ზოგჯერ ვერ ვახერხებთ, 3 და 8 მარტის დღესასწაულები კი თითოეულ ჩვენგანს საშუალებას აძლევს, კიდევ ერთხელ გაგრძობინოთ ის სიბო და სიყვარული, რომელსაც თქვენ ყოველთვის იმსახურებთ.

**პატივისცემით,
ნუზუარ პანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

ჩემთვის განსაკუთრებით ამაღლებელია დედაზე საუბარი, რადგან ჩემს ცხოვრებაში ის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი იყო, არის და ყოველთვის იქნება. დედა დღესაც მენატრება და მესიზმრება... ამიტომაც ვფიქრობ, რომ რთულია იპოვო სიტყვები, რომლებიც დედა-შვილის დამოკიდებულებასა და დედის ამაგს შვილისა და ქვეყნისადმი ნათლად გადმოსცემს. დიდმა ვაჟამ ერთ ტაყში ჩაგია თავისი დამოკიდებულება დედისადმი: „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნი ღმერთადაო“... ასეთი შვილი კი ავი არასოდეს არავისთვის იქნება და ქვეყანაც მაღლიერი ეყოლება... რა თქმა უნდა, ქალის როლი მხოლოდ დედობა და მეუღლეობა არ არის. ქალს შეუძლია წარმატებული იყოს ნებისმიერ ასპარეზზე. ამიტომაც გისურვებთ წარმატებებს, ულევ სიხარულს, დღეგრძელობასა და გახარებას თქვენს „ლამაზად გაზრდილ შვილებთან“ ერთად, ძვირფასო ქალბატონებო. კიდევ ერთხელ გილოცავთ დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს.

ჩემთვის განსაკუთრებით ამაღლებელია დედაზე საუბარი, რადგან ჩემს ცხოვრებაში ის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი იყო, არის და ყოველთვის იქნება. დედა დღესაც მენატრება და მესიზმრება... ამიტომაც ვფიქრობ, რომ რთულია იპოვო სიტყვები, რომლებიც დედა-შვილის დამოკიდებულებასა და დედის ამაგს შვილისა და ქვეყნისადმი ნათლად გადმოსცემს. დიდმა ვაჟამ ერთ ტაყში ჩაგია თავისი დამოკიდებულება დედისადმი: „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნი ღმერთადაო“... ასეთი შვილი კი ავი არასოდეს არავისთვის იქნება და ქვეყანაც მაღლიერი ეყოლება... რა თქმა უნდა, ქალის როლი მხოლოდ დედობა და მეუღლეობა არ არის. ქალს შეუძლია წარმატებული იყოს ნებისმიერ ასპარეზზე. ამიტომაც გისურვებთ წარმატებებს, ულევ სიხარულს, დღეგრძელობასა და გახარებას თქვენს „ლამაზად გაზრდილ შვილებთან“ ერთად, ძვირფასო ქალბატონებო. კიდევ ერთხელ გილოცავთ დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს.

**პატივისცემით,
ნუზუარ პანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**



უსახლკარო-სოციალური დახმარების გარეშე

ადგილობრივი ხელისუფლება ასეთ ადამიანებზე ზრუნვას მუნიციპალური პროგრამებით განაგრძობს...

(მეორე გვერდიდან)

მისთვის მინიჭებული ქულა საარსებო შემწეობის დანიშვნას არ ითვალისწინებს, თუმცა საკმარისია საიმისოდ, რომ ისარგებლოს სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილი საყოველთაო ჯანდაცვის პაკეტით. სამწუხაროდ, 2015 წლის შემდეგაც მას არ მიუმართავს სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ხელახლა გადამონების მოთხოვნით, თუკი განცხადებას შემოიტანს, მას ხელახლა შევამოწმებთ. ის იმყოფება სახლში, რომელსაც ორი ოთახი და ეზოში დამხმარე ნაგებობები აქვს, რაც, სავარაუდოდ, მის სარეიტინგო მონაცემებზე ახდენს გავლენას,“ – განაცხადა ტატა გამყრელიძემ.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამბობს, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული სოციალური პაკეტით სარგებლობა ისეთ ოჯახებსაც შეუძლია, რომელთაც მაღალი ქულების გამო სოციალური სააგენტოსგან დახმარება შეწყვეტილი აქვთ. მისი თქმით, მიმდინარე წელს სოციალურ პროგრამებზე დედოფლისწყაროში 700 000 ლარი დაიხარჯება და ათამდე სოციალურ სერვისის მოიცავს. ქამიაშვილს მათთვის არ მიუმართავს, თორემ მერია მზადაა, სააგენტოს ადგილობრივ ფილიალთან უშუამდგომლოს და სხვა სოციალური სერვისები შესთავაზოს.

მერიის კომპეტენციაში არ არის, თუმცა, ვცდილობთ შევისწავლოთ ოჯახის მდგომარეობა და თუ მიგვაჩნია, რომ უნდა ჰქონდეს დახმარება, ასეთ შემთხვევაში ადგილობრივ ფილიალთან ვშუამდგომლობთ. რეკომენდაციის საფუძველზე სოციალური სააგენტო ხელახლა გადამონებს ახდენს, ზოგ შემთხვევაში ენიშნებათ დახმარება, ზოგჯერ – არა. მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ცდილობს მაქსიმალურად დახვეწილი სოციალური პაკეტი გვექონდეს. ათზე მეტ მუნიციპალურ პროგრამას ვთავაზობთ ადგილობრივებს. 100 000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს ვეხმარებით ოდით, გასულ წელს კიდევ უფრო ვაუმჯობესებთ არეალი და ყველა ოჯახს დავეხმარეთ, რომელთა ქულები 150 000-ს აღწევდა. ასე რომ, სოციალური დახმარების მოხსნა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებული სარგებლის მიღებაში ხელს არ უშლის. ის სააგენტოსგან დამოუკიდებლად და პარალელურად ხორციელდება. შესაძლებელია, ოჯახს რომელსაც ჰყავს მცირეწლოვანი შვილები და აქვს 100 000-ზე ქვემოთ სარეიტინგო ქულა, არ იღებდეს სოციალურ დახმარებას, მაგრამ პარალელურად სარგებლობდეს ჩვენი სერვისებით, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტშია გათვალისწინებული. ასეთებია: სათბობი შემის ფული, ელექტროენერჯისა და გაზის დაფინანსება, მრავალშვილიანთა ერთჯერადი დახმარება, სამედიცინო საქი-



დახმარების შეწყვეტა არ ნიშნავს ადგილობრივი სოციალური პაკეტებით სარგებლობაზე უარის თქმას

როების შემთხვევაში დახმარება და ა.შ. ხაზგასმით რომ ვთქვათ, სოციალური დახმარების მოხსნა სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთ ოჯახებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გათვალისწინებულ დახმარებებზე უარი თქვათ,“ – განუცხადა „შირაქს“ ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ილია მარტყოფილი

2018 საქართველოდან საფრანგეთის საკლასიკო მოზილური ტელეფონების ბავშვებს სრულად აკრძალა. როგორც სააგენტო France Press წერს, საფრანგეთის განათლების მინისტრმა ჟან მირელომ განაცხადა, რომ მოზილური ტელეფონების საკლასიკო მოხდენის სასწრაფო წლის დაწყებიდან აკრძალა. მირელოს განცხადებით, საკლასიკო მოზილური ტელეფონების გამოყენება აკრძალა. აღსანიშნავია, რომ ეს საფრანგეთის პრეზიდენტ ვალანტინე ლივრემ პრეზიდენტის განცხადებით დაიწყო. ამჟამად, საფრანგეთის დაწყებით საკლასიკო, ასევე მთელს ქალაქში მოზილური ტელეფონების გამოყენება დაუშვებელია. საქართველოდან ეს აკრძალა სრულად ამოქმედდა. მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ მოზილური ტელეფონები შეინახონ და საბავშვო პროცესის დასრულების შემდეგ მიიღონ.

საფრანგეთში ბავშვები და მოზარდები მობილურ ტელეფონს ხშირად გამოიყენებენ.

2015 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 2011 წელთან შედარებით, მოზარდების 80% -ზე მეტი მობილურ ტელეფონს ან ე.წ. სმარტფონს ფლობს, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 20%-ს შეადგენდა. საფრანგეთში მობილური ტელეფონების "ჩანაცვლებას" ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება გეგმავს. მომდევნო ორი წლის განმავლობაში პროგრამა ყველა ფრანგულ დაწყებით სკოლაში გავრცელდება. აკრძალა თუ არა ქართულ საკლასიკო მოზილური ტელეფონები? – ამაზე ერთგვაროვანი მოსაზრება არ არსებობს.

მობილური ტელეფონების მანებლობაზე ბევრს ლაპარაკობენ. ექიმებისა და მეცნიერების ნაწილი არ დავობს იმ ფაქტზე, რომ მობილურების გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს.

შვედი მეცნიერები ახალ დასკვნამდე მივიდნენ. მათ საერთაშორისო კონფერენციაზე "მობილური ტელეფონები და ჯანმრთელობა" გააკეთეს განცხადება, რომ მობილურების გამოყენებით ბავშვებში ტვინის სიმსივნის რისკი ხუთჯერ იზრდება. დაავადება, შესაძლოა, მაშინვე არ გამოვლინდეს და მოგვიანებით იჩინოს თავი.

შვედი მეცნიერების ამ მოსაზრებას ქართველი ექიმებიც იზიარებენ. ასოციაცია "ჯანმრთელი სამყაროს" სამედიცინო ექსპერტის ზურაბ ფუტყარაძის განცხადებით, მობილურების ელექტრომაგნიტუ-

რი გამოსხივება უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. მისი თქმით, მოზარდებში ნერვული სისტემა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებულია, რაც რისკებს უფრო ზრდის.

საქართველოში და მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში მოზარდები მობილურ ტელეფონებს აქტიურად იყენებენ. იაფიანი ტელეფონები ბევრი მსურველისთვის ხელმისაწვდომია. უმეტეს შემთხვევაში, მშობლები ექიმებისა და მეცნიერების დაფრთხილებებს ყურადღებას არ აქცევენ და ბავშვებისთვის ტელეფონებს ყიდულობენ.



საჯარო სკოლებში გაკვეთილების განმავლობაში მობილური ტელეფონებით სარგებლობა დაშვებულია. არის გამოხატული სკოლებიც, სადაც ტელეფონით სარგებლობა მხოლოდ დასვენებებზე შესაძლებელია.

ზოგიერთი მშობელი პრობლემას ვერ ხედავს იმაში, თუ მის შვილს მობილური ტელეფონი ექნება. ისინი ყურადღებას უფრო მობილურის ფასზე ამახვილებენ. ძვირადღირებული ტელეფონების ყიდვას იმიტომ ერიდებიან, რომ ემინიათ ვინმემ არ წაართვას. სხვა პრობლემას ისინი ამაში ვერ ხედავენ.

ხშირა შემთხვევები, როცა მობილური ტელეფონის, ტანსაცმლის მიხედვით ბავშვები ერთმანეთს არჩევენ და მეგობრებსაც ამის მიხედვით აფასებენ. როგორც ნესი, მეგობრობა უფრო იმ ბავშვებთან უნდათ, ვინც მატერიალურად უზრუნველყოფილია და, შესაბამისად, კარგი ტელეფონი აქვს და კარგად აცვია. ის ბავშვები კი, ვისაც ტელეფონი არ აქვს, გარიყულები რჩებიან.

ასეთი პრობლემის წინაშე 15 წლის თათაც იდგა. მის მშობლებს საშუალება არ ჰქონდათ, რომ მისთვის ტელეფონი ეყიდათ. ამის გამო მას კლასელები დასცილო-

დნენ. "დღესდღეობით კარგი ტიპობა იმით განისაზღვრება, თუ როგორი ტელეფონი გაქვს. და არა მარტო ტელეფონი. 3-4 წლის წინათ მობილური ტელეფონი არ მქონდა, ჩემი კლასელების უდიდეს ნაწილს კი ჰქონდა. მაშინ ვერც იმის აუცილებლობას ვხედავდი, რომ მობილური მეველო და თან ჩემს ოჯახსაც არ ჰქონდა ტელეფონის ყიდვის საშუალება.

კლასელები ხშირად დამცინოდნენ ამის გამო. სულ ტელეფონებზე ლაპარაკობდნენ და წამომძახებდნენ ხოლმე, ყველაზე მაგარი ტელეფონი მაინც თათას აქვსო. ყო-

ველთვის კლასში ყველაზე მაგარი ტიპი ის იყო, ვისაც ყველაზე ძვირიანი ტელეფონი ჰქონდა. ახლა მობილური ტელეფონი მეც მაქვს, მაგრამ ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ტელეფონი, ფაქტობრივად, არაფერში მჭირდება და უმეტეს შემთხვევაში თან არც დამაქვს", - აღნიშნა თათიამ.

მშობლების ერთი ნაწილი იზიარებს ექიმების მოსაზრებას და ეთანხმება იმ აზრს, რომ მობილური ტელეფონით სარგებლობა ბავშვის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. სწორედ ამ შეხედულებით არის გამყარებული მათი პოზიცია, არ უყიდონ ბავშვებს მობილურები.

„მე თვითონაც ექიმი ვარ და ვიცი მობილური სარგებლობის შედეგები. იმ აზრს არ ვიზიარებ, რომ ადამიანმა მობილური ტელეფონი საერთოდ არ გამოიყენოს. თუმცა, როცა ამის აუცილებლობა და არანაირი საჭიროება არ არის, თავი უნდა შეიკავოს. ვერაფრით დავიჯერებ, რომ 7-8 წლის ბავშვებისთვის მობილური ტელეფონები აუცილებელ ნივთს წარმოადგენს - აუცილებელ ზარებს ელოდებიან, საქმეები აქვთ მოსაგვარებელი თუ რისთვის სჭირდებათ? მე ამ მოსაზრების გამო არ ვყიდულობ

ჩემი 10 წლის შვილისთვის მობილურს. რამდენიც არ უნდა მენუნუნოს, რომ მის კლასში ყველას აქვს ტელეფონი და მასაც უნდა, რომ კლასელის აუცილებლად უნდა დაურეკოს გაკვეთილების განმავლობაში, ამაში ნამდვილად ვერ დამარწმუნებს. რამდენიმე წლის შემდეგ, შეიძლება, მართლა დასჭირდეს მობილური და მაშინ ვუყიდვო. ოღონდაც იაფფასიანს. მუსიკის მოსასმენად, სათამაშოდ, გაკვეთილებზე მესიჯების გზავნისთვის ტელეფონს არასოდეს შევუძენ", - გვითხრა მანანამ.

ბავშვების პოზიცია მშობლების პოზიციაში ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა. ისინი თვლიან, რომ მობილური ტელეფონები მოზარდებისთვისაც აუცილებელია. გარდა ამისა, მათ ძვირადღირებული ტელეფონები უფრო იზიარებენ, ვიდრე იაფი. სწორედ ამიტომ, რომ მობილური ტელეფონი ხშირად ბუღინგის მიზეზიც ხდება მოზარდებს შორის.

ქართული ჰელპაგოგები მიხსალაგებინა აზრს მოზილური ტელეფონების ზომიერად გამოყენების თაობაზე. ქართულ სინამდვილეში სასკოლო პროცესის მსვლელობისას მოზილურის გამოყენების შეზღუდვა საკლასიკო მოზილურის გამოყენების შეზღუდვასთან ერთად უნდა იქონიებოდეს. საბავშვო მოზილური ტელეფონის არასწორად გამოყენებისას, ზომიერი კვლევიტით დადასტურებული, რომ სოციალურ ქალაქსა და ინტერნეტ-სივრცეში მოზარდების მიერ გატარებული დრო ცუდად აისახება მათი ფსიქიკურ მდგომარეობასა და სოციალურ-ხატინაზე. მეორე მხრივ, სკოლა, მასწავლებლები, მას საგანმანათლებლო დანიშნულებითაც იყენებენ. 21-ე საუკუნეში უფრო და უფრო მეტ ალიარებას იძენს მოსწავლეთა შორის ციფრული წინგინეების განვითარება.

თუმცა, ჩვენი სკოლების სამასწავლებლო კორპუსი დღეს ამისთვის მთლად მზად არ არის. ამიტომ იმის რისკი, რომ ბავშვებმა მობილური ტელეფონები არასასწავლო დანიშნულებით გამოიყენონ, საკმაოდ დიდია...

P.S. თავის დროზე, ხმოვანი კინო რომ შემოდიოდა, ჩარლი ჩაპლინი ეჭვით უყურებდა ამ ფაქტს, თუმცა, მოგვიანებით, ჩაპლინმა ხმოვანი კინოშიც დაიმკვიდრა ადგილი. იმედია, ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაშიც უახლოეს მომავალში ასეთ ასახვას პოვნებს მობილური ტელეფონები, პლანშეტები და თანამედროვე ტექნოლოგიები და ისინი ციფრული სახელმძღვანელოების ფუნქციას შეითავსებს.

სოციალური იდენტობის თეორია

პიროვნების იდენტობა განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორებით, როგორებიცაა მემკვიდრეობითობა, კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ქცევითი პიროვნები, ადამიანები, რომლებთანაც პიროვნება ასოცირდება. ადამიანის ქცევასა და ფსიქიკურ პროცესებზე გავლენას ახდენს, როგორც პერსონალური, ასევე სოციალური იდენტობა.

პერსონალური იდენტობა არის ადამიანის მოსაზრება საკუთარ თავზე, რომელსაც იგი ავითარებს თავისი ცხოვრების განმავლობაში და ეყრდნობა ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა პიროვნების ინდივიდუალური გამოცდილება, ცოდნა, შეხედულებები, ის, თუ რისი სჯერა, რა გადაწყვეტილებები მიიღო ცხოვრებაში, რა ფერის კანი აქვს, როგორ ურთიერთობს ადამიანებთან, როგორ ატარებს თავისუფალ დროს და სხვა.

მეორე მხრივ, სოციალური იდენტობაში იგულისხმება ჯგუფის მიკუთვნებულობით საკუთარი თავისა და სხვების აღქმა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მარადიულ კითხვაზე „ვინ ვარ მე“, ადამიანის პასუხი იქნებოდა შემდეგნაირი: „მე ის ვარ, რომელ სოციალურ ჯგუფსაც მიეკუთვნები“. მაგალითად: ფეხბურთელი, ქართველი, მამა, ქალი, თავდადი.

სოციალური ფსიქოლოგის, ჰენრი ტაჟფელის აზრით, ჯგუფები, რომლებსაც ადამიანები მიეკუთვნებიან, სიამა-

ყისა და თვითშეფასების მნიშვნელოვანი წყაროა. სწორედ ეს ჯგუფები გვაძლევს სოციალურ იდენტობას, გრძნობას, რომ სოციალური სამყაროს ნაწილი ვართ. იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ საკუთარ თავზე წარმოდგენა, ხელოვნურად ვზრდით იმ ჯგუფების სტატუსს, რომლებსაც მივეკუთვნებით. მაგალითად: „რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართ“. ჩვენ ასევე შევიძლია გავაუმჯობესოთ საკუთარ თავზე წარმოდგენა სხვა, „გარე“ ჯგუფის (რომლის წევრებიც არ ვართ) დისკრიმინაციით და ამ ჯგუფის წევრებზე ნეგატიური ცრურწმენების ქონით. მაგალითად: ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა ნაწილი ფიქრობს, რომ განსხვავებული აქცენტის გამო ადგილობრივი ამერიკელები (ინდიელები) გაუნათლებლები არიან. 1994 წელს გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, კოლეჯდამთავრებული ადგილობრივი ამერიკელი სავადმყოფოში მარტივ დოკუმენტს ავსებდა, რა დროსაც მედდამ შეამჩნია მისი განსხვავებული, „გაუმართავი“ აქცენტი და შესთავაზა დახმარება დოკუმენტის შევსებაში, რაზეც გაბრაზებულმა ადგილობრივმა ამერიკელმა უპასუხა, რომ მას შეეძლო კითხვა.

ამ თეორიის სამი ცენტრალური ასპექტი: სოციალური კატეგორიზაცია, სოციალური იდენტობა და სოციალური შედარება.

სოციალური კატეგორიზაცია — ესაა ტენდენცია, რომ დავყოთ ადამიანები „შიდა“ და „გარე“ ჯგუფების კატეგორიებად. მსგავსი დავყოფა კიდევ უფრო ზრდის და აზვიადებს განსხვავებულობას ამ ორ ჯგუფს შორის, ხოლო იმაზე მეტად უსვამს ხაზს ერთ ჯგუფში მყოფი ადამიანების მსგავსებებზე, ვიდრე რეალურად არის. ადამიანების კატეგორიზება ძალზე პრაქტიკულია, რადგან იგი გვკარნახობს, თუ როგორ მოვიქცეთ გარკვეულ სიტუაციაში, თუმცა, ეს ხშირად ცრურწმენებისა და სტერეოტიპების საფუძველი ხდება.

სოციალური იდენტობა — ესაა მოსაზრება, რომ ადამიანს არ აქვს ერთი განსაზღვრული იდენტობა, არამედ მრავალი, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა ჯგუფებში ყოფნით, ხოლო თითოეული მათგანი გამოიყენება მოცემული პირობების შესაბამისად, იმისათვის, რომ უკეთ შეგვეუთო გარემოს. მაგალითად: თუ ჩვენი თავის კატეგორიზებას მოვასხებთ, როგორც პატიოსანი ადამიანი, დავინყებთ ისე მოქცევას, როგორც გვეჯერა, რომ პატიოსანი ადამიანები იქცევიან და დავემორჩილებით „შიდა“ ჯგუფში მიღებულ ნორმებს პატიოსნებასთან დაკავშირებით, მაშინაც კი, თუ ამ ნორმებს პატიოსნებასთან საერთო არაფერი აქვს.

სოციალური შედარება — უკვე, როდესაც საკუთარი თავის იდენტიფიცი-

რებას მოვასხებთ რომელიმე ჯგუფთან, ვინყებთ საკუთარი ჯგუფის სხვა ჯგუფებთან შედარებას. იქიდან გამომდინარე, რომ თვითშეფასება დაკავშირებულია სოციალურ იდენტობასთან, საკუთარი ჯგუფი უფრო მოსაწონად უნდა შეფასდეს, ვიდრე სხვა ჯგუფები, რათა შევინარჩუნოთ პოზიტიური თვითშეფასება, რაც თავის მხრივ, იდეალურ შესაძლებლობას იძლევა ცრურწმენების წარმოქმნისათვის.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ სოციალური იდენტობა საკუთარი თავის აღქმის ნაწილია და არა ფაქტი. ჩვენ მხოლოდ იმ ჯგუფს მივეკუთვნებით, რომელსაც ვვიფიქრობთ, რომ მივეკუთვნებით. არსებობს უამრავი სტრატეგია იმისათვის, რომ გავაფართოვოთ საკუთარი სოციალური იდენტობა და მინიმუმადე დავიყვანოთ ცრურწმენები და დისკრიმინაცია. მაგალითად „შიდა“ და „გარე“ ჯგუფის წევრი ადამიანები გავაერთიანოთ ერთ დიდ ჯგუფში. ამის შემდეგ შეწყდება სოციალური შედარება. საუკეთესო შემთხვევაში კი განვივითარებთ პერსონალური იდენტობის შეგრძნებას, რომელზეც იქნება ჩვენი თვითშეფასება დაფუძნებული. ამ შემთხვევაში აღარ დავჭვრიტებ, რომ ვინმეს „ზემოდან ვუყურებ“.

ირაკლი ჩიქოვანი, ოსუ ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი

რას მოგვიტანს შეცვლილი საატესტატო გამოცდების ფორმატი?

2018 წლის სკოლის საატესტატო გამოცდები შეცვლილი ფორმატით ჩატარდება. ამის შესახებ სულ რამოდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი, როდესაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში გამართულ ბრიფინგზე მათი მიმინოშვილმა სიახლეები გაასაჯაროვა.

კერძოდ, ცენტრის ინფორმაციით, ტესტირების დასრულებისას მოსწავლე ეკრანზე დაინახავს არა ქულას, არამედ შეტყობინებას იმის შესახებ, გადალახა თუ არა მან მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ანუ მიიღო მინიმალურ 5,5 ქულაზე მეტი თუ ნაკლები, ხოლო მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის ჩასაბარებელი საგნების ჩამონათვალი რჩება იგივე.

გამოსაშვები გამოცდები წელსაც ორ ეტაპად, მე-11 და მე-12 კლასებში ჩატარდება. მე-11 კლასის მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს იმ საგნებს აბარებენ, რომელთა სწავლაც დაასრულეს (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია). დარჩენილ 4 საგანში კი ტესტირებას (მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, ისტორია) მოსწავლეები სკოლის დამთავრებისას გადაიან, — აცხადებენ გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

მათი მიმინოშვილის თქმით, იმისათვის, რომ მოსწავლემ გამოსაშვებ გამოცდებზე ზღვარი გადალახოს, დაახლოებით 15 მარტივ კითხვას უნდა გასცეს სწორი პასუხი.

სკოლის დამამთავრებელი გამოცდები კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების ქართული მოდელით (Gcat) ტარდება. მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებული ტესტირების ქართული ვერსია — ალგორითმი და პროგრამული უზრუნველყოფა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში შეიქმნა.

„თორმეტი წლის განმავლობაში, როდესაც მოსწავლე სწავლობს სკოლაში, ყველაზე უკეთესად მას, ბუნებრივია, სკოლა შეაფასებს და ბუნებრივია, დადებითი შეფასების შემთხვევაში, მოსწავლეს შეუძლია, კიდევ ერთხელ დაადასტუროს, რომ მას მინიმალური კომპეტენცია გააჩნია კონკრეტულ საგანში“, — აცხადებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ 2018 წლის საატესტატო გამოცდები განსხვავებული ფორმატით ჩატარდება და ქულას — 5.5 სისტემა უქმდება, მაღალკლასელები არაერთ კითხვას სვამენ. გაჩნდა ეჭვები და მოსაზრებები უარყოფით შედეგებზე, გამოცდის გართულება — გამარტივებაზე და სხვ.

შეფასების გაუქმებამ უკმაყოფილება გამოიწვია აბიტურიენტების ნაწილშიც. ზოგისთვის მიუღებელი აღმოჩნდა სხვადასხვა დონის მოსწავლეების გათანაბრება. მაგალითად, ვერ ხვდებიან, რატომ უნდა იყვნენ ის მოსწავლეები, რომლებმაც 5.51 მიიღეს, გათანაბრებული მათთან, ვინც გამოცდაზე 9.99 მიიღო? ზოგიერთი მშობელი ფიქრობს, რომ ეს უკანგადადგმული ნაბიჯია და სიკეთეს არ მოიტანს, შეიძლება, ნეგატიურ მოვლენებსაც კი შეუწყოს ხელი.

— არავის ცოდნა არ თანაბრდება. მოდით ერთ მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: ქულები, რომლებსაც იღებდნენ მოსწავლეები გამოსაშვები გამოცდების დროს, არანაირი დატვირთვის მქონე არ იყო. პირობითად 5.51 ქულა რომ მიეღო რომელიმე საგანში მედალოსან მოსწავლეს, ის მედალს მაინც მიიღებდა.

ძალიან მნიშვნელოვანი და მთავარი ის არის, სკოლა როგორ აფასებს მოსწავლეს. მე, პირადად, ნამდვილად მოხარული ვიქნებოდი სკოლებს და ჩვენ, ანუ ჩვენს ორგანიზაციას, გავეზიარებინა ის პასუხისმგებლობა, თუ როგორ ვაფასებთ მოსწავლეს. ვფიქრობ, რომ ლომის წილი მოსწავლეების შეფასებისას სკოლა უნდა მოაღიწოდოს, რადგან გულწრფელად გიტყვი, რაც არ უნდა იდეალური საბამოცდო მოდელი მოვიგონოთ და რაც არ უნდა იდეალური შემფასებელი გვყავდეს, სკოლის შეფასებას არაფერი შეემატება. რადგან 12 წლის განმავლობაში მოღვაწეობს მოსწავლე სკოლაში და მასწავლებელზე კარგად არავინ იცის საკუთარი მოსწავლის შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, რამდენად კარგია მოსწავლე, რამდენად



წარმატებული, ბუნებრივია, ფასდება სკოლის მიერ და ეს ძალიან კარგია“ — აცხადებს მათი მიმინოშვილი.

გავითვალისწინეთ რა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი აღნიშნული თემის ირგვლივ, სადისკუსიოდ მოვიწვიეთ სხვადასხვა სკოლის მასწავლებლები და რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი, რათა უფრო დეტალურად გაგვევლო ეს საკითხი.

ეთერ ზურიკაშვილი, რესურსცენტრის ხელმძღვანელი: „ცნობილი გახდა, რომ საატესტატო ფორმატი შეიცვალა. ახალი ფორმატის მიხედვით, ტესტირების დასრულებისას მოსწავლე ეკრანზე დაინახავს არა ქულას, არამედ შეტყობინებას იმის



შესახებ, რომ გადალახა თუ არა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ანუ მიიღო მინიმალურ 5,5 ქულაზე მეტი თუ ნაკლები. ამ ცვლილებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ჩემი აზრით, შეფასების ეს სისტემა გამართლებულია, რადგან გამოსაშვებ გამოცდაზე მოსწავლის მიერ მიღებულ ქულას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მოსწავლემ უნდა გადალახოს ზღვარი და ასე აიღოს ატესტატი. ათოსანი მოსწავლე თუ გამოცდაზე 8-ს ან ნაკლებს მიიღებდა, ეს მისთვის სტრესი იყო, ძალიან განიცდიდნენ, თავი რომ ვერ წარმოაჩინეს მაქსიმალურად. სამაგიეროდ, ბევრ შემთხ-

ვევაში მოსწავლე, რომელიც წლების განმავლობაში არ სწავლობდა, ასეთივე ქულას იღებდა. ეს კი იწვევდა მითქმა-მოთქმას... მე ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება იყო და დროული. მე-12 კლასელებისათვის მეტად იყო უფრო დამთრგუნველი. იმიტომ, რომ წინ ეროვნული გამოცდები უწევდათ და თავის შესაძლებლობებში აღარ იყვნენ დარწმუნებულნი. ეს ჩემი სუბიექტური აზრია, შეიძლება ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს ასეა.

ელზა ხარაშვილი, ხორნაბუჯის საჯარო სკოლის პედაგოგი-გამოსაშვები გამოცდების დატვირთვა ის განხლავთ, რომ ამით მოსწავლე კიდევ ერთხელ ადასტურებს, ფლობს თუ არა კონკრეტულ საგანში მინიმალურ კომპეტენციას, თორემ გავლენა ამ გამოცდებზე არაფერზე არ აქვს.

ვფიქრობ, მოსწავლეებმა უნდა მოიხსნან სტრესი და ეს ასეც იქნება. მასწავლებლები ვეღარ წაუყენებენ ზედმეტ მოთხოვნებს მოსწავლეებს, რომ თუ ათოსანი ხარ, გამოცდის დანაც 10 ქულა უნდა გამოიტანო. ამიტომაც, მიმაჩნია, რომ ამ გამოცდებმა თავისი დატვირთვა დაიბრუნა და მივესალმები საატესტატო გამოცდაზე ქულის გაუქმებას. ამით წარჩინებული მოსწავლეები ამოისუნთქებენ. თუ ბავშვს აქვს მაღალი ქულები სკოლაში, მოეხსნება უხერხულება იმაზე, რომ 5 წლის წინ ნასწავლი ისევე 10-ზე არ ახსოვს. ამ სიტუაციის გამოსასწორებლად, პირადად მე, ბევრ ბავშვს ვიცნობ, ვინც სწორედ ამ მაღალი ქულისთვის დადის რეპეტიტორთან, რომ მერე სკოლის ან კლასელების ან მასწავლებლების ან საზოგადოების გაკიცხვის მიზეზი აღმოფხვრას.

ნონა პოპიაშვილი, №1 საჯარო სკოლის პედაგოგი, მივესალმები საატესტატო გამოცდების შეცვლილი ფორმატით ჩატარებას. მასწავლებელზე კარგად არავინ იცის საკუთარი მოსწავლის შესაძლებლობები. ხშირია შემთხვევები, როცა დაბალი აკადემიური მოსწავლის მოსწავლე ტესტირების დროს სრულიად გაუაზრებლად ადასტურებდა პასუხს და საბოლოოდ, მისდა გასაოცრად, ღებულობდა მაღალ ქულას. ამ სისტემის შემოღებით, ჩემი აზრით, წარჩინებულ მოსწავლეებს მოეხსნებათ ზედმეტი სტრესი და უხერხულობა. ქულები, რომლებსაც იღებდნენ მოსწავლეები გამოსაშვებ გამოცდებზე, არანაირი დატვირთვის მქონე არ იყო. აბიტუ-

რიენტებს საშუალება აქვთ, თავიანთი ცოდნა ეროვნულ გამოცდებზე გამოამჟღავნონ. მშობლები წელში წყდებოდნენ, ყველა საგამოცდო საგანში ამზადებდნენ, რომ მაღალი ქულის ამბიციის ჰქონდათ, ძალიან კარგია, რომ ქულები მოისპო.

მამუკა ჯამრალიშვილი, ხორნაბუჯის სკოლის დირექტორი-რა თქმა უნდა, ეს ცვლილება გარკვეულწილად მოტივაციას უკარგავს მოსწავლეს, მაგრამ CAT-ის გამოცდების შედეგებს, ქულებს არანაირი გავლენა არ აქვს ატესტატის საბოლოო შედეგებზე. კლასის დონის დაძლევისთვის მნიშვნელოვანია შეფასება. რაც შეეხება საატესტატო გამოცდებს, დადებითი ის არის, რომ შეიძლება კონკურენცია არ იყოს ბავშვებში და უარყოფითი ის, რომ კარგად სწავლის მოტივაცია დაეკარგოს.

სანამ CAT-ის გამოცდები დაიწყებოდა, მასწავლებლის შეფასებაზე იყო დამოკიდებული მოსწავლის ატესტატის აღება.

ახლაც თუ მეთორმეტე კლასი ვერ დაძლია, საატესტატო გამოცდებზე ვერ გავა, ისე რომ, ყოველთვის მაინც მნიშვნელოვანი მასწავლებლის შეფასება იყო.

რუსუდან ნადირაშვილი, ინგლისური ენის პედაგოგი — „2018 წლიდან სკოლის გამოსაშვები გამოცდის ფორმატის ცვლილებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ჩემი აზრით, ამ ცვლილებას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს. საატესტატო გამოცდა ჩათვლის ტიპის გამოცდაა, მაგრამ კონკურსის სახეს იღებდა, მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მაღალ ქულას მიიღებდა. საატესტატო გამოცდაზე ჩააბარა/არ ჩააბარა/ შეფასების სისტემა იმიტომაც გამართლებული, რომ გამოსაშვებ გამოცდაზე მიღებულ ქულას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მან უნდა გადალახოს ზღვარი და ამით იღებს ატესტატს. ათოსანი მოსწავლე თუ ვერ მიიღებდა მაღალ ქულას, ეს მისთვის სტრესი იყო და ითრგუნებოდა. დაბალი აკადემიური მოსწავლის მოსწავლეს კი ზოგჯერ ისე უმართლებდა, რომ სხვებზე მაღალ შეფასებას ღებულობდა... შენიშვნის სახით მიიღო გამოცდა, რომ კარგი იქნებოდა, თუ მოსწავლეს თავისი ქულის გაკონტროლების საშუალება ექნებოდა. ეს არც საჯარო იქნებოდა და არც დამთრგუნველი“...

ქვირველი მკითხველო, ვიცადათ, თქვენთვის კვლავაც ნაწილის აზრი გაგვიცნო და ჩვენც, რომორც მშობლებს, კიდევ ერთხელ მიგვიღო სამომავლოდ ინფორმაცია, ჩვენი შვილების საატესტატო გამოცდაზე თან დაკავშირებით. რომორც დავინახეთ, კვლავაც უმრავლესობის აზრი თანხმდებარია ერთმანეთთან და ყველა მათგანი თითქმის ერთი-დაიმავე პოზიციას იკავებს, რომორც დედა და რიგითი მოქალაქე, აბსოლუტურად ვითანხმებთ მათ და ვთვლი, რომ ეს სიახლე გაუმართლებს ჩვენს შვილებს სწავლების პროცესს და დადებითად აისახება ცოდნის ხარისხზე, სწოლო დაბატი-ბითი გაღასახლებებისგან და ზედმეტი გაღასახლებებისგან ბათავის-სუფლდებიან მოსწავლეები. ნამდვილად ვთვლი, რომ ობიექტურ და კვალი-ფიციურ კვლავაც უკეთეს ვერაპირ შეფასებას ჩვენს შვილებს, დაბრუნდება დიდი გამოცდილება „შემთხვევითი ქულაზე“ ან, იმიტომ, თუ ჩვენ ხელს შევწყობთ ჩვენს ბავშვებს სრულ-ფასობანი ბარემოს შექმნაში, დიას, ისინი, სულ გაუ დადებენ საუბრით-სო შედეგებს არამსოლოდ საატესტატო, არამედ ეროვნულ გამოცდაზეც და კვლავაც მათს და მშობლებს მიერ განხორციელებს ასევე დადებით-ფასობანი უახლოეს მომავალში.

ელზა ხარაშვილი

ავღანეთში, სამხედრო ბაზაზე ქართველმა სამხედროებმა ეკლესია ააშენეს



ავღანეთში, მაზარი-ი-შარიფის გერმანულ სამხედრო ბაზა „მარმალზე“ მესამე ქვეითი ბრიგადის ასეულის სამხედრო მოსამსახურეებმა „წმინდა გობრონის“ სახელობის ეკლესია ააშენეს.

როგორც თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, სამხედროებმა ეკლესიის მშენებლობა 2017 წლის ნოემბერში დაიწყეს და 2018 წლის იანვრის დასაწყისში დაასრულეს. აქამდე სამხედრო მოსამსახურეებისთვის გერმანულ ბაზაზე მხოლოდ სალოცავი ოთახი არსებობდა.

„სალოცავის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება ასეულის პირადმა შემადგენლობამ და ავღანეთში მყოფმა საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო კაპელანმა მამა გობრონმა ერთსულოვნად მიიღო. მშენებლობა ორ თვეს გრძელდებოდა. ქართველმა სამხედროებმა ეკლესიის მშენებლობა ბაზის პერსონალისთვის გამოსაჩენად გადაწყვიტეს, ქართველი სამხედროების ყაზარმის გვერდით მდებარე სივრცეში გადაწყვიტეს. ქართველ ჯარისკაცებს ეკლესიის მოსაწყობად საჭირო დამხმარე მასალები ბაზაზე მყოფმა სხვა ეროვნების სამხედრო მოსამსახურეებმა მიანოდეს. მშენებლობა და მოპირკეთება კი მთლიანად ქართველმა სამხედროებმა ითავეს“ — გვაცნობს თავდაცვის სამინისტროდან.

მათივე თქმით, ქართველმა ჯარისკაცებმა ეკლესიის ტერიტორიაზე ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მემორიალი და სამრეკლოც მოაწყვეს, ხოლო ეკლესიის ეზოში ხე-მცენარეები დარგეს.

სამინისტროს ინფორმაციით, ქვედანაყოფს საკუთარი სამხედრო მოძღვარი არ ჰყავს, შესაბამისად, საეკლესიო დღესასწაულებზე ბაგრამის საავიაციო ბაზაზე დისლოცირებული ქართული ქვედანაყოფის კაპელანი ჩამოდის და იგი აღავლენს ნირვა-ლოცვას.

მეუღლე: შოთა, შვილები: მანანა, მარინა და ვაჟა მარტყოფლიშვილები, სიძეები: გოდერძი დოღენჯაშვილი და ვასიკო ნასრაშვილი, რძალი: თამარიკო, შვილიშვილები: ზაზა, კახა, ვანო, მალხაზი, შოთიკო, შვილთაშვილები იუნყეებიან ნანა მარტყოფლიშვილის გარდაცვალებას. დაიკრძალა ქალაქ დედოფლისწყაროში 22 თებერვალს.

ანზორი, ზაური, თენგიზი და ილია მარტყოფლიშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ შოთა მარტყოფლიშვილს მეუღლის, მანანა, მარინა და ვაჟა მარტყოფლიშვილების დედის ნანა მარტყოფლიშვილის გარდაცვალების გამო.

ქ. დედოფლისწყაროს დოდაშვილის (ყოფილი სამთოელების) ქუჩის მაცხოვრებლების სახელით, უახლოესი მეზობლები: მანანა, თამილა, ლილა, თამარი, იზა, ციციწო, თიკო ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ შოთა მარტყოფლიშვილს მეუღლის, ვაჟა, მანანა, მარინა მარტყოფლიშვილებს დედის ნანი მარტყოფლიშვილის გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: მანანა, თამილა, ლილა, თამარი, იზა, ციციწო, თიკო ოჯახებით თანაგრძნობას ვუცხადებთ ციციწო, დათო და ხეთისო ფიროსმანაშვილებს მეუღლის და მამის მიხიკო ფიროსმანაშვილის გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო სამიძმარს უცხადებს საკრებულოს აპარატის თანამშრომელს მიხიელ ბიკაშვილს დედის ენგული ბიკაშვილის გარდაცვალების გამო.



უკეთილშობილესი, სპეტაკი, თბილი, ალერსიანი, მშრომელი და თავდაუზოგავი. ამ დიდ ტრავმას უკვე ერთი წელია, რაც ვიტანთ იძულებით. ოჯახის ბურჯი, დიდი მოამბევე და შვილებისათვის თავდაუზოგავი. მეუღლისათვის ძვირფასო, ნათესავებისათვის მოსიყვარულე და უტკბილესო ადამიანი, როგორ უნდა ვიციცხლით უშენოდ, ყველასათვის მოუშუშებელი ტკივილი, ტკივილი, რასაც გლახო აჩელაშვილის არყოფნა ჰქვია. გული დაგვწყვიტე ყველას, ძვირფასო მეუღლეს, საყვარელ შვი-

ბელა ქოქიაშვილი




ჩემო უსაყვარლესო მეუღლევ და შენი ორი ქალიშვილის საყვარელო მამიკო, მოდის 1 მარტი - შენი დაბადების დღე. 31 წლის ასაკში ბედმა გიმტყუნა, გახდი მოულოდნელად ავტომობილის მსხვერპლი და სამუდამოდ გამოეცალე შენს ოჯახს. ესლა უნდა გამხდარიყავი 55 წლის.

ჩემო ძვირფასო გელა, მოუხედავად დიდი ტკივილისა და გაჭირვებისა, ღირსეულად ვზიდე ქვრივი დედის მძიმე ტვირთი და კარგი შვილები დაგიზარდე, რომლებიც უკვე ორ-ორი შვილის დედები არიან, რასაც შენ ვერ მოესწარი, მე კი მათით ვზარობ. მყავს ორი სიძე და ოთხი შვილიშვილი, რომლებმაც შენგან დაცარიელებული გული შემივსეს. შენი წასვლით მოყვინებული იარა კი დღემდე მოუშუშებელია.

რამდენი ნატვრა დაგრჩა განუხორცილებელი, რამდენ სიხარულს ვერ მოესწარი-ნინოს და ნანას ბედნიერებით ვერ გაიხარე, არ დაგცალდა სიძეების და შვილიშვილების მოვლერება. შენს სახელს დავინწყება არ უნერია. შენი სახელი შენმა ძმისშვილებმა გააგრძელა. უსაზღვრო სიყვარულით და სიკეთით განვლილი ხანმოკლე სიცოცხლეს უკვალოდ არ ჩაუვლია და მისაბამ მაგალითად დარჩება შენს შვილებს, შვილიშვილებს და ძმისშვილებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. მეუღლე თამარიკო; შვილები: ნინო და ნანა, სიძეები: რაზანი, მამუკა და ლევანი, შვილიშვილები: მარინა, ილია, ლუკა და ნინო. ძმა ბურაბი, რძალი მზის, ძმისშვილები: თამუნა და ბელა. შენი ნატვრული დედა ლილი.

ბაკურ ბაცვაშვილი



მეუსრულებელ 51 წელს გილოცავთ, ჩემო მონატრებული შვილი. უკვე ოთხი წელია, რაც აღარ მყავხარ ცოცხალი, ჩემო ბაკურ. მამაშენმაც დაგეტოვა და შენს გზას დაადგა. ორივეს მონატრება უსასრულოა. დედის გულის ტკივილს ვერც დრო ანელებს და ვერც საფლავზე მისვლა და ტირილი. შენს ძმას უჭირს უშენობა, შვილი. უშენოდ დარჩენილი მუდამ იმაზე ფიქრობს, რა გააკეთოს შენი სულისთვის.

20 თბერვალს მოვედით შენს საფლავთან და მოგილოცეთ დაბადების დღე, მოგიტანეთ ყვავილები და დაგინთეთ სანთლები. მოვეფერე, შვილი, შენს გაყინულ სურათს და ცრემლით დაგასველე შენს გულზე დაყრილი მინა.

შენი ძმა მიხიკო და დედა.

ლილა მანაბაძე-თეთვაძე



ორმოცი დღე გვაშორებს იმ ტკივილიან წუთებს, როცა შენ დაგეტოვე და იმქვეყნიურ სასუფეველებში გადაინაცვლე. 82 წლის ასაკში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, წახვედი ჩვენგან და ყველას გული დაგვწყვიტე.

ღმერთმა დაბადებულმა, ქვემო ქართლში გაზრდილმა და ქიზიყის მადლიან მინაზე დაქალებულმა ცხოვრების გრძელი და რთული გზა გაიარე. 60 წლის თანაცხოვრების განმავლობაში შენს მეუღლესთან - შალვა თეთვაძესთან ერთად შექმენი დიდი და მძლავრი ოჯახი, გაზარდე კარგი შვილები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, როგორც კარგმა მეოჯახეებმა, კარგი შვილების და შვილიშვილების აღზრდელმა. არც საზოგადოებრივ საქმიანობაში შეირცხვინეს თავი: ვაჟი - ზურაბი, რაიონის და რესპუბლიკის მასშტაბით ერთ-ერთი ცნობილი და მოწინავე ფერმერია, ქალიშვილი-თინათინი კი, წლების განმავლობაში მუშაობს აზიისა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყანაში ნავთობის კომპანიებში გარემოს დაცვის სპეციალისტად.

შენ ძალიან განიცდიდი მის ცხოვრებას შორეულ ქვეყნებში, მაგრამ მისი პირადი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ დაოჯახდა და დასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კოლორადოში. დარდს გიქარვებდა ის, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას გაძლევდა, კონტაქტი არ გაგეწყვიტა და ყოველდღიური ურთიერთობა გქონოდა, ეს შენს დედობრივ სურვილს გიკმაყოფილებდა. შენ დიდი მონაწილეობა მიიღე შვილიშვილების აღზრდაში. ბედნიერი იყავი, რადგან მათი ოჯახების შექმნასაც მოესწარ და მათ შვილებსაც.

სოფელ სამრეკლოს (ჯაფარიძის) მცხოვრებლებს სულ მუდამ ემასხოვრები, რადგან ათი წელი სოფლის საბჭოს მდივანი იყავი, შენს ხელში მრავალი ახალგაზრდა ოჯახი შეიქმნა, ბევრ მათგანს გაუწიე გონივრული დახმარება ოჯახური დავების მოწესრიგებაში. შემდეგ, პროფტექნიკურ სასწავლებელში აღზრდილ პედაგოგად მუშაობის დროს, თავი გამოიჩინე, როგორც კარგმა მასწავლებელმა და დამრიგებელმა.

ჩვენ, შენი დანატოვარი ოჯახი, მუდამ ვალში ვიქნებით შენი ამავის წინაშე და ყოველთვის მოგიგონებთ. ვეცდებით, შენი დაწყებული საქმე - შვილების, შვილიშვილების და სუთი შვილთაშვილის აღზრდა-განათლება კარგად წარიმართოს და ამით უკვდავყო შენი სახელი.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მინა და განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი დიდი ოჯახი

გლახო აჩელაშვილი

ლეს, მეგობრებს, ნათესავ-ახლობლებს. თვითოეულის გულში სამუდამოდ დაიდებ ბინა. შენმა მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დაგვცა, ცოლ-შვილზე გადაფიქრის გული გაგისკდა, გვიჭირს შენზე წარსულში ლაპარაკი. 39 წელიწადი არაფერია, ამ მოკლე დროში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე ეს მხოლოდ შენისთანა სულით მდიდარ ადამიანს მეუღლია. ვაჟკაცურად გაიარე ის რთული გზა, რომელიც არ იყო ფიანდაზებით მოვინილი და რომელიც მუდამ გაუნათებს შენს შვილებს მომავალს. ისინი ზუსტად ამ ნაკვალევს გამოჰყვებიან და ისეთივე კეთილსინდისიერი ადამიანები გაიზრდებიან, როგორც შენ იყავი. ამავებენ და იამაყებენ საკუთარი მამის სახელითა და დიდსულოვნებით. 23 თებერვალს შენი გარდაცვალების წლისთავი აღვნიშნეთ, დაგინთეთ სანთლები და მოგიგონეთ უდროოდ ჩვენი ცხოვრებიდან გამქრალი ჩვენი იმედო.

მომავალშიც ჩვენი ცხოვრება შენზე მოგონებებით გაილევს. ნათელი დაგიმკვიდროს ღმერთმა, ჩვენგან კი ლოცვა და სანთელ-საქმეველი არ მოგაკლდება.

მეუღლე შორანა აჩელაშვილი-ლაპიაშვილი, შვილები: თინიკო და ნიკა აჩელაშვილები

ამ საამაყო დედოფლისწყაროელს უნდა იცნობდეთ!

16-21 თებერვალს რუსეთის დედაქალაქში გაიმართა A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი უშუბი. აღნიშნულ შეჯიბრებაზე საბარათველოს უშუბი ეროვნული ფედერაციის ნაპრაზი გუნდის იმყოფებელი 12 სპორტსმენის შემადგენლობით. ჩვენი რაიონიდან საბარათველოს ღირსებას ნაპრაზის შემადგენლობიდან რუსეთის დედაქალაქში დედოფლისწყაროს უშუბი გუნდის სპორტსმენი ნიკა ჩიტვილი იცავდა. ნიკა ჩიტვილი 7 წელია, უშუბი ასპარეზობს. ნიკა არამარტო სპორტის ამ სახეობაში, არამედ სხვა ორთაბრძოლაშიც წარმატებით ასპარეზობდა, რომორიცაა კიკოპოსინგი და შერაული ორთაბრძოლა. ნიკა ჩიტვილი მოსკოვში 70 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, მან ფინალურ ბრძოლაში

დაღესტნელი (რუსი) მებრძოლი აშკარა უპირატესობით დაამარცხა და დაუფლა ჩამაიონის ტიტულს.

„მოსკოვის უშუბი ვარსკვლავი“ მსოფლიოს მასშტაბით პრესტიჟულ ტურნირად ითვლება, რადგან ამ ტურნირზე მონაწილეობენ მსოფლიოს უძლიერესი ნაკრები გუნდები, როგორცაა ჩინეთი, რუსეთი, ირანი, ყაზახეთი, თურქმენეთი, ჰონგკონგი...წელს ამ ტურნირზე სულ 17 ქვეყანა ასპარეზობდა, მათ შორის საქართველოც.

„ნიკა ჩიტვილი 2012 წლის შემდეგ არასდროს დამარცხებულა უშუბ-სანდაში. მოსკოვში გამგზავრების წინ ნიკამ სერიოზული ფიზიკური, ტექნიკური და ფსიქოლოგიური მომზადება გაიარა, ყოველდღიური დამღლევი და დატვირთული ვარჯიშებით და შედეგიც სახეზეა. ენერჯიულობა, რადგან მე ვერ მივყვებოდი შეჯიბრზე. სულ მოსკოვის ტურნირზე 12 ქართველი სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას, 2 ოქრო აიღო საქართველომ და ერთ-ერთი ნიკას მედალია ამ ორიდან.

ძალიან გახარებული ვარ, რომ უფლის ნყალობით ასე კარგად ჩაიარა შეჯიბრებამ და ჩვენი გამარჯვებით დასრულდა“-აცხადებს გაზეთ „შირაქთან“-საუბრისას ნიკას მწვრთნელი ბიორბი ცისპარაული.

თავად გამარჯვებული ნიკა ჩიტვილი კი ამბობს, რომ სპორტი მისთვის ყველაფერია და ყოველი გამარჯვება სტიმულის მომცემია ახალი წარმატებისკენ, ახალი ბარიერის დაძლევისაკენ. ამ ტურნირზე მისი ამოცანა იყო, რუსეთში რუსი სპორტსმენი დაეჯაბნა და გამარჯვების ნიშნად ქართული დროშა აეფრიალებინა:

„რაც თავი მახსოვს, სპორტით ვარ დაკავებული, ვერ წარმომიდგენია ჩემი არსებობა მის გარეშე. უამრავ შეჯიბრებაზე მაქვს მონაწილეობა მიღებული, 100-ზე მეტი ფილმი მოვიპოვე. თითოეული მათგანის მიღების სიხარული და აღმაფრენა მახსოვს, რაც ძალას მმატებს. როცა გავიგე, რომ ეს შეჯიბრება მოსკოვში უნდა გამართულიყო და მონაწილემდე რუსი სპორტსმენი უნდა ყოფილიყო, ავლელი. მეტი პასუხისმგებლობა ვიგრძენი. განსაკუთრებულად ვემზადებოდი. შინაგანად ვგრძობდი, რომ მე ამჟამინდელ მეტოქესთან შერკინებისას სპორტსმენი ნიკა ჩიტვილი კი არ უნდა ვყოფილიყავი, არამედ რიგითი ქართველი ახალგაზრდა, რომელსაც შემდეგ გამარჯვების ნიშნად მოსკოვში ქართული დროშა ამეფრიალებინა... ბედნიერი ვარ, რომ ეს შევექელი. მაღლობა მინდა გადავუხადო ჩემს მწვრთნელს, გიორგი ცისპარაულს და ოჯახს, ამ დროის განმავლობაში გვერდში დგომისთვის.“

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია ულოცავს ამ შთამბეჭდავ გამარჯვებას ნიკას და კვლავ ბევრ წარ-

მატებულ გამოსვლას უსურვებს მას მსოფლიო სარბიელზე.

მასალა მოამზადა ინგა შიოლაშვილმა.




ევროპული კინოს ქართველი ამომავალი ვარსკვლავი, ოჯახური კინოტრადიციით

ახალგაზრდა ქართველი მსახიობი ირაკლი კვიციანი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე ათ მსახიობთან ერთად „ევროპული ამომავალი ვარსკვლავის“ პრიზით დააჯილდოვეს. ირაკლი კვიციანი - რეზო გიგინეიშვილის ფილმ „მეველებში“ გეგა კობახიძის როლის შემსრულებელი, European Film Promotion-მა რამდენიმე თვის წინ ევროპული ამომავალი ვარსკვლავების

ბის სიაში შეიყვანა. ვიღო ასევე გადაეცათ: ელი ჰარბოს ნორვეგიიდან, ალბა აუგუსტს შვედეთიდან, ფრანც როგორსკის გერმანიიდან, რეკა ტენკის უნგრეთიდან, მატელდა დე ანჯელის იტალიიდან, მატეო სიმონს ბელგიიდან, იონას სმულდერს ნიდერლანდიდან და ლუნა ველდერს შვეიცარიიდან.

აღსანიშნავია, რომ European Film Promotion ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ქსელია, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ევროპული კინოს გაყიდვას და პოპულარიზაციას ეწევა. იგი 1997 წელს არაკომერციული ორგანიზაციის ათმა წევრმა დააარსა და დღეისათვის მონაწილე საერთაშორისო სარეკლამო საზოგადოებაა, რომელიც პორტუგალიიდან საქართველომდე 37 ქვეყანაში 38 ორგანიზაციითაა წარმოდგენილი.

ირაკლი კვიციანი 25 წლისაა, ის ცნობილი ქართველი მსახიობის ნინო ქორიძის შვილი და რეზო ჩხეიძის ფილმში „ლიმილის ბიჭები“ თემურის როლის შემსრულებლის, არქიტექტორ კახა ქორიძის შვილიშვილია. დამთავრებული აქვს საქართველოს შოთა რუსთაველის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უკვე წარმატებულმა ახალგაზრდა ქართველმა მსახიობმა სამსახიობო კურსი გაიარა ისეთ ცნობილ სტუდიაში, როგორცაა Stella Adler Studio. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ სტუდიის კურსდამთავრებულები არიან რობერტ დე ნირო, ბენისიო დელ ტორო და მარკ რუფალო.



ულოცავენ!
შოთა ბიკაშვილს!

ჩვენი შოთა, თებერვალი შენი თვეა, 20 თებერვალს 85 წლის გახდა. გილოცავთ, იცოცხლე და გაიხარე შენს დიდ ოჯახთან ერთად-მეუღლესთან, ორ შვილთან და ექვს შვილიშვილთან ერთად. ბედნიერი აღამაინი ხარ, ისე იცხოვრე, უკან მოხედვის რომ არ შეგრცხვება: პატიოსანი, წესიერი, თავმდაბალი, ნიჭიერი და ერუდირებული კაცის სახელი დაი-მკვიდრე-სულ მუდამ გვახსოვხარ შენი სუფთა სულით და ერთგულებით. დაუფინყარია შენთან ერთად გატარებული წლები, შენი თამალობა, შენი ჩუმი იუმორი.

გვიყვარხარ, პატივისცემით, შენი „შირაქელები“.

ქეთინო უანთაშვილს!

ჩვენი ძვირფასო და საყვარელო ქეთიმო, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს.მუდამ სხვის ჯანმრთელობაზე მზრუნველი თქვენც ჯანმრთელი და ბედნიერი იყავით. ჩვენ ხანდაზმული აღამაინები ვართ და ექიმს ხშირად ვსაჭიროებთ. წლებია, ჩვენი მკურნალი ბრძანდებით და ღმერთმა დაგლოცოთ იმ ყურადღებისთვის, პროფესიონალიზმისთვის, რომელსაც იჩენთ ჩვენს მიმართ. თქვენი იმედი არ მოგვეშალოს. ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

პატივისცემით, ჯიმი ალუიშვილი და ლალი გოჭორიშვილი.

იყიდება!

იყიდება ორთახიანი ბინა დიდი ლოჯიით, ავტოფარეხით დედოფლისწყაროში (ბენზინგასამართი სადგურის მოპირდაპირე მხარეს) რუსთაველის ქუჩა №4, კორპუსი 3, II-ე სადარბაზო, ბინა 9. ფასი შეთანხმებით.

მსურველები დაგვიკავშირდით შემდეგ ნომერზე 555 23 26 80.

ყურადღება: სასწრაფოდ იყიდება!

სასოფლო-სამეურნეო, იგივე საკარმიდამო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ნაგებობების ასაშენებლად. ფართობი: 999კვ.მ. **მისამართი:** დედოფლისწყაროს რაიონი, სოფ. ხორნაბუჯი, კოსტავას ქუჩა (რუსულ-ქართული სკოლის მიმდებარე ტერიტორია). მსურველებმა დარეკეთ ტელეფონზე: 599 23 89 98. ფასი შეთანხმებით.

ამინდი		დედოფლისწყარო		საბურთაბო		თბილისი		მთიანეთი		კვირა	
ორშაბათი 26.02	სამშაბათი 27.02	ოთხშაბათი 28.02	ხუთშაბათი 01.03	პარასკევი 02.03	შაბათი 03.03	კვირა 04.03	ორშაბათი 05.03	სამშაბათი 06.03	ოთხშაბათი 07.03	ხუთშაბათი 08.03	პარასკევი 09.03
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁	☁
5°	4°	4°	3°	7°	5°	6°	5°	7°	6°	8°	7°

<p>გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი</p> <p>რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი</p> <p>წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.</p>	<p>სარედაქციო კოლფია: ლალი მახარაშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათია ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).</p> <p>გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.</p>	<p>რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)</p> <p>რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.</p>
---	--	---